თბილისის თავისუფალი აკადემიის

ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ი ს

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

თ ბ ი ლ ი ს ი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
ფსიქოლოგია Psychology
აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური
I საფეხური, ბაკალავრიატი First level, Bachelor
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა Higher Education Academic Programme
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ფსიქოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Psychology
სწავლის ხანგრძლივობა
სწავლების ხანგრძლივობა 8 სემესტრი (4 აკადემიური წელი)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით
240 (ECTS) კრედიტი
სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი
ეკატერინე ჩინჩალაძე ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნინო ქიტოშვილი** გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის დოქტორანტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია დაშვების გამჭვირვალე წინაპირობა, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და ორიენტირებულია პირის მიერ პროგრამის დაძლევის შესაძლებლობებზე. აკადემიის ოფიციალურ ვებ - გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია და იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა გათვლილია 8 სემესტრზე (ოთხი აკადემიური წელი), ხოლო სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდ(ებ)ის ჩატარებისა და მათში სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს.
კრედიტი გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და მისი მიღება შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის მეშვეობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანებით.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს.
ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისათვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 აკადემიური წლის განმავლობაში პროგრამის დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა დამატებითი სემესტრის/სემესტრების განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საბაკალავრო პროგრამის საბოლოო შედეგები მიიღწევა საბაკალავრო პროგრამით გაწერილი სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის სავალდებულოა საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, დაცვა და პრაქტიკის გავლა.

პროგრამის სტრუქტურა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია ბოლონიის პროცესით დეკლარირებულ მოთხოვნებზე და აკუმულირდება სწავლების ხარისხის შეფასებების კონკურენტუნარიანობის პრიორიტეტულობაზე. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შესაბამის დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების და თავისუფალი კომპონენტების პრინციპით. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების სახით. სავალდებულო კომპონენტები შედგება თავისუფალი სასწავლო კურსებისა და ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისაგან. არჩევითი კომპონენტი მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს და თავისუფალ კურსებს.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად, ბაკალავრისადმი განსაზღვრული კვალიფიკაციის დონისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამით მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და ასახულია სასწავლო გეგმაში.

საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

სავალდებულო კომპონენტი - 180 კრედიტი, მათ შორის:

- თავისუფალი სასწავლო კურსები - 50 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 130 კრედიტი.

არჩევითი კომპონენტი: 60 კრედიტი, მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 - 60 კრედიტი;
- თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 0 - 30 კრედიტი.

სემესტრი 1 - სტუდენტი შეისწავლის სავალდებულო კომპონენტის ხუთ თავისუფალ სასწავლო კურსს (აკადემიური წერა; მეტყველების კულტურა; სოციოლოგიის საფუძვლები; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ინგლისური ენა 1 – 25 კრედიტი) და ძირითადი სწავლის სფეროს ერთ სავალდებულო სასწავლო კურსს (ფსიქოლოგიის საფუძლები 1);

სემესტრი 2 - სტუდენტი შეისწავლის სავალდებულო კომპონენტის ორ თავისუფალ სასწავლო კურსს (ინგლისური ენა 2 და ფილოსოფიის საფუძვლები - სულ: 10 კრედიტი) და ძირითადი სწავლის სფეროს ოთხ სავალდებულო სასწავლო კურსს (ფსიქოლოგიის საფუძლები 2; ფსიქოლოგიის ისტორია; ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები; კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1 - 20 კრედიტი);

სემესტრი 3 - სტუდენტი შეისწავლის სავალდებულო კომპონენტის ორ თავისუფალ სასწავლო კურსს (ინგლისური ენა 3; კრიტიკული აზროვნების საფუძვლები - 10 კრედიტი) და ძირითადი სწავლის სფეროს ოთხ სავალდებულო სასწავლო კურსს (პიროვნების ფსიქოლოგია 1; სოციალური ფსიქოლოგია 1; განვითარების ფსიქოლოგია 1; კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2 - სულ: 20 კრედიტი);

სემესტრი 4 - სტუდენტი შეისწავლის სავალდებულო კომპონენტის ერთ თავისუფალ სასწავლო კურსს (ინგლისური ენა 4; სულ: 5 კრედიტი) და ძირითადი სწავლის სფეროს ხუთ სავალდებულო სასწავლო კურსს (სტატისტიკის საფუძვლები; სოციალური ფსიქოლოგია 2; პიროვნების ფსიქოლოგია 2; კოგნიტური ფსიქოლოგია 1; განვითარების ფსიქოლოგია 2; სულ: 25 კრედიტი);

სემესტრი 5 - სტუდენტი შეისწავლის ძირითადი სწავლის სფეროს სამ სავალდებულო სასწავლო კურსს (ინგლისური ენა ფსიქოლოგებისათვის 1; განათლების ფსიქოლოგია; კოგნიტური ფსიქოლოგია 2; - სულ: 15 კრედიტი) და ირჩევს შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან და/ან თავისუფალი სასწავლო კურსებიდან 15 კრედიტს;

სემესტრი 6 - სტუდენტი შეისწავლის ძირითადი სწავლის სფეროს სამ სავალდებულო სასწავლო კურსს: (ინგლისური ენა ფსიქოლოგებისათვის 2; შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია; მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება (SPSS) - სულ: 15 კრედიტი) და ირჩევს შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან და/ან თავისუფალი სასწავლო კურსებიდან 15 კრედიტს;

სემესტრი 7 - სტუდენტი შეისწავლის ძირითადი სწავლის სფეროს ორ სავალდებულო სასწავლო კურსს (განწყობის ფსიქოლოგია; ექსპერიმენტული ფსიქოლოგია - სულ 10 კრედიტი) და ირჩევს შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან და/ან თავისუფალი სასწავლო კურსებიდან 20 კრედიტს;

სემესტრი 8 - სტუდენტი ამზადებს საბაკალავრო ნაშრომს (10 კრედიტი) და გადის პრაქტიკას (10 კრედიტი) და ირჩევს შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან და/ან თავისუფალი სასწავლო კურსებიდან 10 კრედიტს.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტები ორიენტირებულია სტუდენტს მისცეს ფუნდამენტური ცოდნა ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებისა და ფსიქოლოგიური კონცეფციების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების შესახებ, რაც ემსახურება შეძენილი ცოდნის საფუძველზე პროფესიული მოღვაწეობისათვის საჭირო უნარ - ჩვევებისა და ღირებულებების გამომუშავებას.

პრაქტიკის კომპონენტი ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რეალიზებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ - ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება. პრაქტიკა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, სრულად გააცნობიეროს ფსიქოლოგიის სფეროს სპეციფიკა და ეთიკური პრინციპების მნიშვნელობა, განივითაროს თეორიული და პრაქტიკული სწავლების შედეგად ჩამოყალიბებული უნარები.

საბაკალავრო ნაშრომი ორიენტირებულია თეორიული ხასიათის ნაშრომის შესრულებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზე. სტუდენტი დამოუკიდებლობის ხარისხის შესაბამისად განახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება/კვლევას. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. საბაკალავრო ნაშრომის მიზანია ფსიქოლოგიის დარგში ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ კვლევითი მუშაობის განხორციელების, მისი წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის უნარების განვითარება კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და მათი ლოგიკური თანმიმდევრობა.

თავისუფალი კომპონენტები მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ და დაწესებულებაში უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე არსებულ სასწავლო კურსს/საგანს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო საკითხებზე თვალსაწიერის გაფართოების მიზნით. ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიც არის ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე, კრიტიკული აზროვნების უნარის, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და აკადემიური მუშაობის უნარების განვითარებაზე.

დანართი N1

პროგრამის შესაბამისობა მისიასთან

თბილისის თავისუფალი აკადემია ქმნის თანამედროვე სასწავლო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით. აკადემია მუდმივ ცვალებად ციფრულ ეპოქაში უზრუნველყოფს მოამზადოს შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და სოციალურად მაღალი ცნობიერების მქონე თაობები. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მიაწოდოს ფსიქოლოგიის სფეროში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

მისიიდან გამომდინარე ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს სტრატეგიულად მოაზროვნე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანნი დასაქმების ბაზარზე და ექნებათ ეფექტური კომუნიკაციისა და დამოუკიდებლად განვითარების უნარი.

პროგრამის აქტუალობა

ფსიქოლოგია XXI საუკუნის ერთ - ერთი ყველაზე მზარდი და მოთხოვნადი პროფესიაა შრომით ბაზარზე, რაც ზრდის ხარისხიანი უმაღლესი განათლების მოთხოვნას, როგორც დამსაქმებლების, ისე სტუდენტების მხრიდან. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. შესაბამისად, თანამედროვე შრომით ბაზარზე თითქმის არ არსებობს სფერო, სადაც ფსიქოლოგიის ბაკალავრის კურსდამთავრებული ვერ დასაქმდება.

ფსიქოლოგია - როგორც დარგი მსოფლიოში და ასევე საქართველოში ერთ - ერთი ყველაზე მზარდი და მოთხოვნადი პროფესიაა. პროგრამის აქტუალობა გამომდინარეობს დარგის პოპულარობიდან. ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს არა მხოლოდ პიროვნული ზრდის შესაძლებლობებს, არამედ კარიერული შესაძლებლობების მრავალფეროვან სპექტრს. დღევანდელ შრომის ბაზარზე ფსიქოლოგიის პროფესია ითვლება მოთხოვნად, პერსპექტიულ და პრესტიჟულ პროფესიად. მნიშვნელოვანი ტენდენციაა უმაღლესი სასწავლებლების პროგრამათა ჩამონათვალში ფსიქოლოგიის პროგრამების მატების დინამიკა და ფსიქოლოგიიის საბაკალავრო პროგრამაზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილების სრული ათვისება.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს კერძო და საჯარო დაწესებულებებში, სადაც არ მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი განათლების, ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, კვლევის და მართვის მიმართულებებით. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებები და სრულად საგანმანათლებლო სფერო, საჯარო სამსახური და შეიარაღებული ძალები, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურები, ტრენინგ ცენტრები, კლინიკები/პოლიკლინიკები, კვლევითი ორგანიზაციები, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურები, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები, საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრები, სარეაბილიტაციო ცენტრები და სხვა.

აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ასევე შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას და დასაქმებას მომიჯნავე სპეციალობის დარგში. კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, როგორც ფსიქოლოგიის მიმართულებით, ასევე სხვა მიმართულებითაც, რომლისთვისაც კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული კონკრეტული მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

პროგრამა ემყარება ევროპულ უნივერსიტეტებში ანალოგიური საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმის შედგენის და საგნების გადანაწილების გამოცდილებას და დოკუმენტს შინაარსობრივ საფუძვლად უდევს გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სააგენტოს (QQA) მიერ 2019 წელს დადგენილი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები, საიდანაც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მიზნებისა და შედეგების შინაარსობრივი მხარე.

პროგრამის მიზანი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი და პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან, არის გაზომვადი და რეალისტური. პროგრამის მიზანია კვალიფიციური, თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარებითა და პროფესიული ღირებულებებით აღჭურვილი, პროფესიულ განვითარებასა და წინსვლაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

პროგრამის მიზნებია

1. მოამზადოს დასაქმების ბაზრის შესაბამისი, მაღალკვალიფიციური, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის სპეციალისტი;
2. მისცეს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის სფეროში დარგობრივი ტენდენციების, მიმდინარეობებისა და თანამედროვე კონცეფციების შესახებ;
3. განუვითაროს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და ჩამოუყალიბოს პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი დონის პასუხისმგებლობა ეთიკური პრინციპების დაცვით;
4. გამოუმუშაოს განათლების პირველი საფეხურისათვის შესაბამისი კვლევითი და განზოგადებული სხვა უნარები, რითაც შეუქმნის მყარ საფუძველს ზედა საფეხურის პროგრამების დასაუფლებლად.

პროგრამის სწავლის შედეგები

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მრავალფეროვანია და ფოკუსირებულია ფსიქოლოგიის მეცნიერებაში მულტიდისციპლინარული ცოდნის მიღებაზე. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური და აღწერს იმ ცოდნას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

1. იაზრებს ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიულ კანონზომიერებებს და ახდენს მისი, როგორც დარგის განვითარების პერსპექტიული ტენდენციების გაცნობიერებას;
2. იდენტიფიცირებს ფსიქოლოგიის მეცნიერების ძირითად მიმართულებებს და ახდენს მათ კლასიფიცირებას, განიხილავს პიროვნების განვითარების ძირითად მახასიათებლებს, ფსიქიკურ

ფუნქციებს, განვითარებაზე ზემოქმედ ფაქტორებს და ცნობიერის, არაცნობიერის, ქცევისა და პიროვნების კატეგორიებს;

3. იდენტიფიცირებს პიროვნების განვითარების ძირითად მახასიათებლებს, ფსიქო - სოციალური პროცესებისა და სხვადასხვა ფსიქიკური პათოლოგიის თავისებურებებს, ანალიზის საფუძველზე ახდენს პრობლემების ამოცნობას და განსაზღვრული მითითებებით ახორციელებს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას;
4. ერკვევა ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული მიდგომის საკვანძო პრობლემატიკაში;
5. ახდენს ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინკორპორირებას;
6. შეუძლია მონაცემების შეგროვება და შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით დამუშავება, წერილობითი ნაშრომის/ანგარიშის მომზადება აკადემიური სტანდარტების დაცვით და ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით დაინტერესებული პირებისათვის მისი გადაცემა;
7. დამოუკიდებლად განსაზღვრავს მიღებული ცოდნის გაღრმავების/მუდმივად განახლების საჭიროებებს, აყალიბებს მოსაზრებებს სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, იღებს პასუხისმგებლობას პროფესიული ეთიკის ნორმების პრაქტიკაში გამოყენებასა და აკადემიური პატიოსნების დაცვაზე.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია სწავლება - სწავლის შემდეგი მეთოდები:

- დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს თვალსაწიერის გაფართოების მიზნით;
- პრეზენტაცია/დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ეხმარება, თვალსაჩინო გახდეს სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, ამავე დროს, ეს მეთოდი ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს, რაც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ;
- ინდუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ;
- დედუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;

- ანალიზის მეთოდი - ეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;
- სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას;
- ახსნა - განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ეს მეთოდი ხელს უწყობს ჯგუფის მაქსიმალურ ჩართულობას საკითხთა განხილვის პროცესში, სტუდენტის ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბების, საკუთარი აზრის დასაბუთებისა და სხვათა აზრის პატივისცემის უნარს;
- მაგალითების გენერირება - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ სხვადასხვა მოდელირებული მაგალითის ჩამოყალიბებას;
- პრაქტიკული სამუშაო - სტუდენტი შემენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, რაც მას პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს უყალიბებს;
- პრეზენტაცია - მოიაზრებს სტუდენტთა დაკომპლექტებას შესაბამის ჯგუფებად. საპრეზენტაციო თემები სტუდენტებმა შესაძლებელია შეარჩიონ ლექტორის მითითებით ან დამოუკიდებლად და მოძიებული მასალის დამუშავების საფუძველზე დაიცვან საჯაროდ;
- ვერბალური პრეზენტაცია - მოიცავს თეორიული საკითხების ცოდნას, რომელიც ხორციელდება ნარატივის სახით ან შეკითხვებზე პასუხის გაცემის ფორმატში და მოიაზრებს გამოკითხვაში, დისკუსიაში მონაწილეობას. ვერბალური პრეზენტაცია ითვალისწინებს თეორიული საკითხების ცოდნის დემონტრაციასა და მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე;
- გონებრივი იერიში - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას, რაც ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას;
- რესურსების მოძიება - ახალი ინფორმაციის/მასალის დამოუკიდებლად მოძიება ელექტორნული და ბეჭდური საშუალებების გამოყენებით;
- სააზროვნო შეკითხვები - წარმოადგენს სწავლებისა და სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას;
- შემთხვევების შესწავლა (Case study) - სიტუაციური ანალიზის მეთოდია, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების/სიტუაციების გადაჭრის გზით ე.წ. „კეისების“ ამოხსნა. სწავლების მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. „კეისი“ წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული

ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისთვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით. მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს;

- ჯგუფური (collaborative) მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- ინდივიდუალური პროექტი - წარმოადგენს სწავლა-სწავლების მეთოდს, სადაც გაითვალისწინება მიღებული ცოდნის შენარჩუნება და მისი აქტიური გამოყენება. იგი არის ერთგვარი გეგმა, რომელშიც ასახულია კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მოდელირებული განხორციელების შესაძლებლობა;
- ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება დასმული საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტასა და სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებას. მეთოდი მოიაზრებს ფსიქოლოგიის დარგის ამა თუ იმ მიმართულების განვითარების ამსახველი განმაზოგადებელი მაჩვენებელების გაანგარიშებას სტუდენტის მიერ, მოვლენების განვითარების კანონზომიერების დადგენას და დასკვნების გაკეთებას. შედეგები სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრაქტიკულ მეცადინეობაზე და უნდა შეძლოს დისკუსიის წარმართვა აუდიტორიასთან;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
- სიტუაციური იმიტაცია - სიტუაციური იმიტაცია წარმოადგენს მეთოდს, სადაც სტუდენტს ეძლევა საშუალება კონკრეტული საკითხის/თემის წარმოსასახად და შემდგომ გასაანალიზებლად; ამ მეთოდით სტუდენტი სწავლობს დავალების შესრულებას დაკვირვებებსა და მოქმედებებს შორის ასახვის შესწავლით. იმიტაციის საშუალებით სწავლების პარადიგმა პოპულარობას იძენს, რადგან იგი ხელს უწყობს რთული ამოცანების სწავლებას დავალებების მინიმალური ექსპერტული ცოდნის საფუძველზე;
- ქვიზი - არის წერითი ნამუშევარი (განვლილი თემატიკის ფარგლებში თეორიული მასალის შემოწმება). ამ მეთოდით იზომება სტუდენტის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარები. ქვიზი შედგება თეორიული საკითხებისაგან;
- როლური თამაშები – წარმოადგენს სწავლების აქტიურ მეთოდს, რომელიც მიმართულია დიალოგური და მონოლოგური მეტყველების, მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. როლური თამაშების დროს ხდება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის, ენობრივი კონსტრუქციების, კლიშეების გამოყენება და მათი დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია მონაწილეებმა მეტი ცოდნა მიიღონ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.

წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;

- ესე - დამოუკიდებელი მუშაობა ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თემაზე - სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ეფექტური მეთოდია. მისი გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს სტუდენტების მიერ აზრის მკაფიოდ და გამართულად, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბების, ფსიქოლოგიის ტერმინოლოგიით მეტყველების ჩვევების განვითარებას. ასევე ესე აჩვევს სტუდენტებს მაგალითების, ციტატების გამოყენებას, განსახილველი თემის შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. ესეს მიზანია სტუდენტების შემეცნებითი საქმიანობის ნაყოფიერი და შემოქმედებითი ნაწილის დიაგნოსტირება, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციის, არგუმენტების აგების, დასკვნების ფორმულირების უნარების შეფასებას;
- თარგმანი - დარგობრივ ლექსიკაზე დაყრდნობით განუვითარებს სტუდენტს თარგმნის პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს, გაუუმჯობესებს თარგმნის ტექნიკას, ასწავლის მათ როგორ ჩასწვდნენ ტექსტის ენას, გაიაზრონ ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაცია;
- სავარჯიშოები - აუცილებელი შემადგენელია უცხოური ენის სწავლების პროცესში გრამატიკული და ლექსიკური უნარების აქტუალიზაციისათვის, დარგობრივი ენის დახვეწა-გაღრმავებისათვის;
- წერითი მუშაობა - სტუდენტთა მიერ სხვადასხვა დავალების წერითი ფორმით შესრულებას/წარმოდგენას;
- წიგნზე მუშაობა - სასწავლო ლიტერატურის დამოუკიდებლად დამუშავება;
- მოსმენა - უვითარებს სტუდენტს უცხოურ ენაზე აუთენტური ინგლისური მეტყველების გაგების, ყურადღების კონცენტრაციის, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის აღქმისა და გაანალიზების უნარ - ჩვევებს;
- ბლიც - გამოკითხვა - არის ფრონტალური გამოკითხვა განვლილი მასალის ფარგლებში, რითაც ვლინდება სტუდენტის მიერ განვლილი მასალის აღქმის დონე შედარებით მოკლე დროში;
- სასემინარო მოხსენება - წარმოადგენს მეთოდს, რომელიც სტუდენტს უვითარებს საკითხის შესაბამისი, სანდო და ხარისხიანი წყაროების დამოუკიდებლად მოძიების, მონაცემთა შეგროვებისა და განმარტების, პრობლემების გამოკვეთის, მათი გადაჭრის გზების წარმოჩენის, თეზისების დამუშავებისა და დასკვნების წარმოდგენის უნარ - ჩვევებს. სასემინარო მოხსენება ავლენს საკითხის ცოდნის დონეს და მასალის დამუშავების სიღრმეს.

შენიშვნა: კონკრეტული აქტივობების ან მათი კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. სასწავლო კურსების განმახორციელებელი ლექტორები სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით თავად განსაზღვრავენ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ სხვადასხვა მეთოდებს, რაც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში.

ლექციები ინტერაქციულია. მათი დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება და პრობლემურ დონეზე განხილვა, სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი სწავლის ორიენტირების ჩამოყალიბება. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე. სამუშაო ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მუშაობის დანიშნულება ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება და მისი პრაქტიკული აპლიკაციაა. ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გააზრება, მოსაზრებების ჩამოყალიბება და გაზიარება, კამათი და პოზიციის არგუმენტირება, კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, პროფესიული საქმიანობის ჩვევების ფორმირება.

სტუდენტის მიღწევების შეფასება - ზოგადი წესები

უმაღლეს სასწავლებელში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტთა შეფასების 100 - ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა უდრის 100, შესაბამისად, მაქსიმალური დადებითი შეფასება 100 ქულაა, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება არის 51 ქულა. შეფასების თითოეულ მეთოდს განსაზღვრული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების მიღწევის ინტერესის გათვალისწინებით სხვადასხვა სასწავლო კურსში განსხვავებული შეიძლება იყოს.

სტუდენტის შეფასება:

ა. ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება მიმდინარე სემესტრში;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად: - პრაქტიკული აქტივობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა, პრეზენტაცია და სხვ.,) და შუალედური გამოცდა. თითოეულს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების სისტემაში.

100 ბალიანი სისტემიდან შუასემესტრულ კომპონენტებზე გადანაწილებულია 60 ქულა, ხოლო 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუასემესტრული კომპონენტებისთვის განსაზღვრული 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით.

სტუდენტის შეფასებისას წაყენებული აკადემიური მოთხოვნები:

სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კურსის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ა. საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - სასწავლო კურსის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ შემდეგ ოდენობებს:

- პრაქტიკული მეცადინეობების/აქტივობების 40 ქულიდან სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 20 ქულა;
- შუალედური გამოცდის 20 ქულიდან დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 11 ქულას;
- დასკვნითი გამოცდის 40 ქულის მინიმალურ სავალდებულო კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 20 ქულას.

ბ. საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - პრაქტიკის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ შემდეგ ოდენობებს:

- შუალედური შეფასების/პრაქტიკული აქტივობების 60 ქულიდან დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30 ქულას;
- დასკვნითი შეფასება/პრაქტიკის დაცვის 40 ქულის მინიმალური სავალდებულო კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 21 ქულას.

გ. საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - საბაკალავრო ნაშრომის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ შემდეგ ოდენობებს:

- შუალედური შეფასების 60 ქულიდან დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30 ქულას;
- დასკვნითი შეფასება/საბაკალავრო ნაშრომის დაცვის 40 ქულის მინიმალური სავალდებულო კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 21 ქულას.

თუ სტუდენტი ვერ გადალახავს აკადემიაში დამტკიცებული სასწავლო კურსით განსაზღვრულ შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ის მოიხსნება სასწავლო კურსიდან და გაუფორმდება შეფასება "F", რაც ითვალისწინებს აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლას. დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც გადალახა შუალედური შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

FX შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებად. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგამნანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-ქულა.

შენიშვნა:

- შეფასების ფორმები და კომპონენტები, მათი ხვედრითი წილი საერთო შეფასებაში და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასევე შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში, რაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის;
- დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში;
- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად შეფასება;
- პრაქტიკის განხორციელებისა და საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისათვის სტუდენტს უნდა ჰქონდეს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

ფსიქოლოგიის საგანამანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძლევა შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება ინსტიტუციის აკადემიური პერსონალი, სათანა-დო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი და პრაქტიკოსი სპეციალისტები.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური რესურსები

პროგრამით გათვალისწინებული მიზნების რეალიზაციისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და თანამედროვე ტექნოლოგიებით,

ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით (წიგნადი და ელექტრონული), კომპიუტერული ცენტრით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით. უსდ-ში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

თბილისის თავისუფალ აკადემიას აქვს წვდომა შემდეგ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე:

- **Cambridge Journals Online** - https://www.cambridge.org/core ბაზა მოიცავს 360 დასახელების აკადემიურ ჟურნალს და 30 000-ზე მეტი დასახელების ელექტრონულ წიგნს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში: სოციალური მეცნიერებები, ეკონომიკა, მათემატიკა, პოლიტიკა, ასტრონომია და ა.შ.
- **e-Duke Journals Scholarly Collection** – ბაზა ღია წვდომის საშეალებას იძლევა Duke University Press-ის მიერ გამოცემულ წიგნებსა და ჟურნალებზე. ეს გამომცემლობა ყოველწლიურად გამოსცემს 120 დასახელების ახალ წიგნსა და 50-ზე მეტ ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალს სხვადასხვა სამეცნიერო დარგში.
- **Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books** – https://www.elgaronline.com/ ბაზა მოიცავს სამეცნიერო კვლევებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ენციკლოპედიებს და ჟურნალებს ეკონომიკაში, ბიზნესში, სოციალურ მეცნიერებებში და სამართალში. მათ მიერ გამოცემულ ავტორებს შორის 14 ნობელის პრემიის ლაურეატია.
- **IMechE Journals** – ბაზა მოიცავს სამეცნიერო ჟურნალებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ჯანდაცვისა და ბიოსამედიცინო სფეროებში, ინჟინერიისა და ფიზიკის მეცნიერებებში.
- **BioOne Complete** – ბაზა აერთიანებს 200 დასახელების ჟურნალს ეკოლოგიაში, ბიოლოგიაში და გარემოს შემსწავლელ მეცნიერებებში.
- **New England Journal of Medicine** – ბაზა აერთიანებს მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო მონეტარული ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევებს, პერიოდულ გამოცემებს, სტატისტიკურ მონაცემებს სოციალურ მეცნიერებებში, ეკონომიკაში, ვაჭრობაში, საბაზრო პოლიტიკაში, დემოგრაფიასა და სხვა მიმართულებებში.
- **Royal Society Journals Collection** – ბაზა მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ბიოლოგიის, ფიზიკისა და საინჟინრო-მათემატიკურ მეცნიერებებს, გარემოსა და კლიმატის შესახებ მიმართულებებს და სხვ.
- **SAGE Journals** – https://journals.sagepub.com/ ბაზა მოიცავს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებების 900-ზე მეტი დასახელების ჟურნალს და 700 000-ზე მეტ პუბლიკაციას. ჩვენი მომხმარებლისათვის მასალებზე წვდომა შესაძლებელია 1965 წლიდან დღემდე გამოქვეყნებულ რესურსებზე.
- **Openedition Journals** - ბაზა აერთიანებს 4 პლატფორმას, რომელიც ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ელექტრონულ რესურსებს მოიცავს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და პროფესორ – მასწავლებელთა მხარდაჭერის მიზნით საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, კვლევითი პროექტების ხელშეწყობაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, აკადემიის პროფესორ - მასწავლებელთა განვითარებაზე, მათ შორის, მათი ნაშრომების, სახელმძღვანელოების შემუშავება/გამოცემაზე და სხვა აქტივობების განხორციელებაზე.
საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო - მეთოდური უზრუნველყოფა
სასწავლო პროცესი მეთოდურად უზრუნველყოფილია აკადემიაში მოქმედი სამართლებრივი დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც ემყარება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ”, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებებს. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო - მეთოდური მასალით, შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებით, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და საინფორმაციო წყაროებით.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

	სასწავლო კომპონენტის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტები	საათები	ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი მუშაობა	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11								12
1. სავალდებულო კომპონენტები																			
თავისუფალი სასწავლო კურსები (50 კრედიტი)																			
											I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
1.1	აკადემიური წერა	ACAD 211	5	125	15	30	2	3	50	75	X								წინაპირობის გარეშე
1.2	მეტყველების კულტურა	RETH 211	5	125	15	30	2	3	50	75	X								წინაპირობის გარეშე
1.3	სოციოლოგიის საფუძვლები	BSO 211	5	125	15	30	2	3	50	75	X								წინაპირობის გარეშე
1.4	ინფორმაციული ტექნოლოგიები	INFO 211	5	125	15	30	2	3	50	75	X								წინაპირობის გარეშე
1.5	ინგლისური ენა 1	ENGL 211	5	125	-	45	2	3	50	75	X								წინაპირობის გარეშე
1.6	ინგლისური ენა 2	ENGL 221	5	125	-	45	2	3	50	75		X							ინგლისური ენა 1

1.7	ინგლისური ენა 3	ENGL 231	5	125	-	45	2	3	50	75			X						ინგლისური ენა 2
1.8	ინგლისური ენა 4	ENGL 241	5	125	-	45	2	3	50	75				X					ინგლისური ენა 3
1.9	ფილოსოფიის საფუძვლები	BPHI 221	5	125	15	30	2	3	50	75		X							წინაპირობის გარეშე
1.10	კრიტიკული აზროვნების საფუძვლები	PCT 231	5	125	15	30	2	3	50	75			X						წინაპირობის გარეშე
	ჯამი		50	1250	90	360	20	30	500	750									
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები (130 კრედიტი)																			
1.11	ფსიქოლოგიის საფუძლები 1	BPS 211	5	125	15	30	2	3	50	75	X								წინაპირობის გარეშე
1.12	ფსიქოლოგიის საფუძლები 2	BPS 221	5	125	15	30	2	3	50	75		X							ფსიქოლოგიის საფუძლები 1
1.13	ფსიქოლოგიის ისტორია	HPS 221	5	125	15	30	2	3	50	75		X							წინაპირობის გარეშე
1.14	ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები	BBB 221	5	125	15	30	2	3	50	75		X							წინაპირობის გარეშე
1.15	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1	RMP 221	5	125	15	30	2	3	50	75		X							წინაპირობის გარეშე
1.16	პიროვნების ფსიქოლოგია 1	PPS 231	5	125	15	30	2	3	50	75			X						ფსიქოლოგიის საფუძვლები 2

1.17	სოციალური ფსიქოლოგია 1	SPS 231	5	125	15	30	2	3	50	75			X						ფსიქოლოგიის საფუძვლები 2
1.18	განვითარების ფსიქოლოგია 1	DPS 231	5	125	15	30	2	3	50	75			X						ფსიქოლოგიის საფუძლები 2
1.19	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2	RMP 231	5	125	15	30	2	3	50	75			X						კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1
1.20	სტატისტიკის საფუძვლები	BST 241	5	125	15	30	2	3	50	75				X					კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2
1.21	სოციალური ფსიქოლოგია 2	SPS 241	5	125	15	30	2	3	50	75				X					სოციალური ფსიქოლოგია 1
1.22	პიროვნების ფსიქოლოგია 2	PPS 241	5	125	15	30	2	3	50	75				X					პიროვნების ფსიქოლოგია 1
1.23	კოგნიტური ფსიქოლოგია 1	CPS 241	5	125	15	30	2	3	50	75				X					ფსიქოლოგიის საფუძვლები 2
1.24	განვითარების ფსიქოლოგია 2	DPS 241	5	125	15	30	2	3	50	75				X					განვითარების ფსიქოლოგია 1
1.25	განათლების ფსიქოლოგია	EPS 251	5	125	15	30	2	3	50	75					X				სოციალური ფსიქოლოგია 2
1.26	კოგნიტური ფსიქოლოგია 2	CPS 251	5	125	15	30	2	3	50	75					X				კოგნიტური ფსიქოლოგია 1

1.27	ინგლისური ენა ფსიქოლოგებისათვის 1	PENG 251	5	125	-	45	2	3	50	75					X				ინგლისური ენა 4
1.28	ინგლისური ენა ფსიქოლოგებისათვის 2	PENG 261	5	125	-	45	2	3	50	75						X			ინგლისური ენა ფსიქოლოგებისათვის 1
1.29	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	LOP 261	5	125	15	30	2	3	50	75						X			ფსიქოლოგიის საფუძვლები 2
1.30	მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება (SPSS)	SPSS 261	5	125	15	30	2	3	50	75						X			სტატისტიკის საფუძვლები
1.31	განწყობის ფსიქოლოგია	PSA 271	5	125	15	30	2	3	50	75							X		პიროვნების ფსიქოლოგია 2
1.32	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია	EPS 271	5	125	15	30	2	3	50	75							X		კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2
1.33	საბაკალავრო ნაშრომი	BAC 281	10	250	-	-	-	-	42 (30+12)	208								X	პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები

1.34	პრაქტიკა	PRAC 281	10	250	-	-	-	-	230 (225+5)	20								X	პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები
	ჯამი		130	3250	300	600	44	66	1372	1878									
	სულ სავალდებულო კომპონენტების ჯამი		180	4500	390	960	64	96	1872	2628									
2. არჩევითი კომპონენტები																			
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (30 კრედიტი)																			
2.1	სქესის ფსიქოლოგია	GPS 250	5	125	15	30	2	3	50	75					X				წინაპირობის გარეშე
2.2	რეკლამის ფსიქოლოგია	APS 250	5	125	15	30	2	3	50	75					X				სოციალური ფსიქოლოგია 2
2.3	პროფესიული კომუნიკაცია	PCO 250	5	125	15	30	2	3	50	75					X				ფსიქოლოგიის საფუძვლები 2
2.4	სოციალურ - ფსიქოლოგიური გავლენა	SPI 250	5	125	15	30	2	3	50	75					X				სოციალური ფსიქოლოგია 2
2.5	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	ICO 250	5	125	15	30	2	3	50	75					X				ფსიქოლოგიის საფუძლები 2
2.6	მომხმარებლის ფსიქოლოგია	PSC 250	5	125	15	30	2	3	50	75					X				სოციალური ფსიქოლოგია 2

2.7	სტრესის მართვა	STM 250	5	125	15	30	2	3	50	75					X				წინაპირობის გარეშე
2.8	ინკლუზიური განათლება	INE 260	5	125	15	30	2	3	50	75						X			განათლების ფსიქოლოგია
2.9	ადიქტოლოგია	ADI 260	5	125	15	30	2	3	50	75						X			პიროვნების ფსიქოლოგია 2
2.10	ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები	BAP 260	5	125	15	30	2	3	50	75						X			პიროვნების ფსიქიოლოგია 2
2.11	ბავშვის განვითარების დარღვევები	DDC 260	5	125	15	30	2	3	50	75						X			განვითარების ფსიქოლოგია 2
2.12	პრევენციული ფსიქოლოგია და პედაგოგიკა	PPP 260	5	125	15	30	2	3	50	75						X			განათლების ფსიქოლოგია
2.13	იურიდიული ფსიქოლოგიის საფუძვლები	LPS 260	5	125	15	30	2	3	50	75						X			სოციალური ფსიქოლოგია 2
2.14	პოლიტიკური ფსიქოლოგია	PPS 260	5	125	15	30	2	3	50	75						X			სოციალური ფსიქოლოგია 2
2.15	სამხედრო ფსიქოლოგია	MPS 270	5	125	15	30	2	3	50	75							X		სოციალური ფსიქოლოგია 2

2.16	პერსონალის შერჩევა	STR 270	5	125	15	30	2	3	50	75							X		შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
2.17	ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები	BNE 270	5	125	15	30	2	3	50	75							X		კოგნიტური ფსიქოლოგია 2
2.18	კროს - კულტურული ფსიქოლოგია	CPS 270	5	125	15	30	2	3	50	75							X		სოციალური ფსიქოლოგია 2, ინგლისური ენა ფსიქოლოგებისა თვის 2
2.19	ჯგუფური მუშაობის მეთოდები	MGW 270	5	125	15	30	2	3	50	75							X		ფსიქოლოგიის საფუძვლები 2
2.20	ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქო - სოციალური რეაბილიტაცია	PHR 270	5	125	15	30	2	3	50	75							X		წინაპირობის გარეშე
2.21	ფსიქოლოგიური კონსულტირება	PCO 270	5	125	15	30	2	3	50	75							X		პიროვნების ფსიქოლოგია 2
2.22	ბიზნესის ფსიქოლოგია	BPS 280	5	125	15	30	2	3	50	75								X	წინაპირობის გარეშე

2.23	გარემოს ფსიქოლოგია	PSE 280	5	125	15	30	2	3	50	75								X	ინგლისური ენა ფსიქოლოგებისა თვის 2
2.24	პათოფსიქოლოგია	ABP 280	5	125	15	30	2	3	50	75								X	კოგნიტური ფსიქოლოგია 2 , განვითარების ფსიქოლოგია 2
2.25	პერსონალის განვითარება და ტრენინგი	SDT 280	5	125	15	30	2	3	50	75								X	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, ინგლისური ენა ფსიქოლოგებისა თვის 2
2.26	კონფლიქტის ანალიზი და გადაწყვეტა	CAS 280	5	125	15	30	2	3	50	75								X	წინაპირობის გარეშე
2.27	გეშტალტთერაპია	GEST 280	5	125	15	30	2	3	50	75								X	პიროვნების ფსიქოლოგია 2, კოგნიტური ფსიქოლოგია 2
	ჯამი		**135**	**3375**	**405**	**810**	**54**	**81**	**1350**	**2025**									

2.29	ფრანგული ენა 2	FRA 262	5	125	-	45	2	3	50	75						X			ფრანგული ენა 1
2.30	ფრანგული ენა 3	FRA 272	5	125	-	45	2	3	50	75							X		ფრანგული ენა 2
2.31	ლოგიკა	LOG 252	3	75	15	15	2	3	35	40					X				წინაპირობის გარეშე
2.32	პოლიტოლოგია	POL 252	3	75	15	15	2	3	35	40					X				წინაპირობის გარეშე
2.33	საერთაშორისო სტატისტიკა	IST 252	4	100	15	15	2	3	35	65					X				წინაპირობის გარეშე
2.34	იმიჯოლოგია	IMAG 262	3	75	15	15	2	3	35	40						X			წინაპირობის გარეშე
2.35	საზოგადოებასთან ურთიერთობა	PR 262	5	125	15	30	2	3	50	75						X			წინაპირობის გარეშე
2.36	საქართველოს ისტორია	HIST 262	4	100	15	15	2	3	35	65						X			წინაპირობის გარეშე
2.37	მომხმარებელთა ქცევის საფუძვლები	BCB 272	4	100	15	15	2	3	35	65							X		წინაპირობის გარეშე
2.38	ორგანიზაციული ქცევა	ORG 272	5	125	15	30	2	3	50	75							X		წინაპირობის გარეშე
2.39	შესავალი სამართალმცოდნეობაში	INLW 272	4	100	15	15	2	3	35	65							X		წინაპირობის გარეშე

2.40	ლიდერობა	**LID 282**	3	75	15	15	2	3	35	40								X	**წინაპირობის გარეშე**
2.41	**პროექტების მენეჯმენტი**	**PMAN 282**	4	100	15	15	2	3	35	65								X	**წინაპირობის გარეშე**
	ჯამი		**57**	**1425**	**165**	**330**	**28**	**42**	**565**	**860**									
სულ არჩევითი კომპონენტების ჯამი			**192**	**4800**	**570**	**1140**	**82**	**123**	**1915**	**2885**									